ხელშეკრულება №08-10

ქ. ქუთაისი „10" აგვისტო 2015 წ.

ერთი მხრივ შპს "ო. ჩხოტუაის სახელობის ინვალიდთა და ხანდაზმულთა ცენტრი" (სკ 212672080 მის. ქუთაისი ტოლბუხინის N16) (შემდგომში „დამკვეთი") წარმოდგენილი მისი დირექტორის თენგიზ მამასახლისის სახით და მეორე მხრივ შპს "ა.ბ. ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრი" წარმომადგენელი მისი დირექტორის ვახტანგ კალოიანის სახით (შემდგომში ორივე მხარე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები"), საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

1. ხელშეკრულების საგანი

"დამკვეთი" უკვეთავს "შემსრულებლის" ყველა სახის მორფოლოგიური გამოკვლევის წარმოებას.

შპს ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებული სტანდარტის შესაბამისად.

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1 დამკვეთი ვალდებულია:

– შემსრულებელს მორფოლოგიური გამოკვლევისათვის გადაუგზავნოს ბიოფსიური, ოპერაციული და ციტოლოგიური მასალა ყველა შემთხვევაში, დანაწევრების გარეშე, ამასთანავე მკვდარი ავადმყოფების გვამები (ფარდა სასამართლო-მედიკური შემთხვევებისა);

– სრულად დაიცვას მასალის აღების, შენახვის, გადათავსების, მარკირებისა და თანმხლები ფურცლის შევსების წესები;

– უზრუნველყოს გამოკვლევათა პასუხების წაღება;

– ინტრაოპერაციული ექსპრესბიოფსიის ჩატარების საჭიროებისას, ბიოფსიის აღების დრო შემსრულებელს აცნობოს 48 საათით ადრე.

2.2 შემსრულებელი ვალდებულია:

– შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ 2000 წლის 5 დეკემბრის №242/ნ ბრძანებით დადგენილი სტანდარტების დონეზე აწარმოოს მიღებული მასალის მაკრო- და მიკრომორფოლოგიური გამოკვლევა, დიაგნოზის დასმა და რეკომენდაციების გაცემა მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის;

– საჭიროების შემთხვევაში აწარმოოს პუნქტატის აღება ციტოლოგიური გამოკვლევისათვის;

– მონაწილეობა მიიღოს სამკურნალო-საკონტროლო კომისიებსა და კლინიკურ-პათოლოგანატომიური კონფერენციების მუშაობაში, კონსულტაციები გაუწიოს მკურნალ ექიმებს ზოგადი და კერძო პათოლოგიების საკითხებში;

– მოახდინოს ოპერაციული და სექციური მასალის ნარჩენების უტილიზაცია;

– ციტოლოგიური გამოკვლევის შედეგები დამკვეთს აცნობოს-მასალის მიღებიდან 2 სამუშაო დღეში, ბიოფსიური და ოპერაციული მასალის მიკროსკოპული გამოკვლევის შედეგები 5 სამუშაო დღეში, ძვლოვანი ქსოვილის გამოკვლევის შედეგები 14 სამუშაო დღეში, ექსპრესბიოფსიის პასუხი – 15-20 წუთში, ხოლო აუტოფსიის შედეგები – 10 სამუშაო დღეში (გარდა იმ შემთხვევებისა, რომელიც საჭიროებს დამატებითი მეთოდების გამოყენებას).

3. გამოკვლევის ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1 სტანდარტით შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება დამკვეთის მიერ მოხდება თვეში ერთხელ შემსრულებლის მიერ დამკვეთისათვის ანგარიშ-ფაქტურის წარდგენის საფუძველზე უნაღდო ანგარიშწორებით მოქმედი ტარიფების შესაბამისად

ა. ორი მორფოლოგიური კვლევის შემთხვევაში ძირითადი კვლევა ტარიფის 100% ხოლო თანმხლები კვლევა ტარიფის 50%

ბ. სამი და მეტი მორფოლოგიური კვლევის შემთხვევაში ძირითადი კვლევა ტარიფის 100% ხოლო თანმხლები კვლევები ტარიფის 40%

3.2 ჩატარებული გამოკვლევის ღირებულება ხელშეკრულებას თან ერთვის. ამ შემთხვევაში ანგარიშწორება მხარეებს შორის მოხდება ნაღდი (გამსაკვლევი მასალის გამომგზავნისას ან პასუხის გაცემისას ოფიციალური ქვითრის საფუძველზე) ან უნაღდო ანგარიშწორებით (ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე).

3.3 უნაღდო ანგარიშწორება ხდება ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 საბანკო დღის განმავლობაში.

3.4 მხარეები ცვლიან სტანდარტით ჩატარებული გამოკვლევის ღირებულებას ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

4. დავა მხარეთა შორის

4.1 დავა მხარეთა შორის წყდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

4.2 შეუთანხმებლობის შემთხვევაში ორივე მხარე უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს. ამ შემთხვევაში ხარჯებს იხდის „დამნაშავე" მხარე.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

1.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის დღიდან და ძალაშია ერთი წლის ვადით.

1.2 ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა შესაძლებელია;

- – ერთ-ერთი მხარის ლიკვიდაციის შემთხვევაში;
- – მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;
- – ერთ-ერთი მხარის სურვილით, რის შესახებაც მეორე მხარეს წერილობით უნდა ეცნობოს სამი თვით ადრე.

6.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

6.4 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შესრულებულია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ.

6.5 შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით.

6. მხარეთა რეკვიზიტები:

"შემსრულებელი"
შ.პ.ს. აკად. ზ. ცხაკაიას სახ.
დასავლეთ საქ. ინტერვენციული
მედიცინის ეროვნული ცენტრი

დირექტორი:

ვ. კალოიანი

212841424

მის.: ჯავახიშვილის ქ. N63
ტელ.: (0431) 25 16 19

საბანკო რეკვიზიტები: თიბისი
ბანკის ქუთაისი,
ფილიალი ბანკის კოდი: TBCBGE22
GE60TB03 11934080100001

"დამკვეთი"

მპს "ო. ჩხობაძის სახელობის
ინვალიდთა და ხანდაზმულთა
ცენტრი"
ს/კ 212672080
მის. ქუთაისი ტოლბუხინის N16
თი ბი სი ბანკი
GE78TB0348134080100001

დირექტორი
თ. მამასახლისი